№ 8 იანვრის 11, პარასკევი. 1866—1885 იანვრის 11, პარასკევი. № 8.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზედ"

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების" რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზედ"

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხელფასი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების" რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხელფასი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისავე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

## ქართული თეატრი

კვირას, იანვრის 13-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ბ. გორინთლის ბენეფისში

**რომანი ღარიბი ყმაწვილის კაცისა**

კომედია 5 მოქმედებად თხზ. ოქტავ ფელიესი.

**პარიკმახერისას**

კომედია 1 მოქმ. გადმოკ. თ. რ. ერისთავისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.

## საზაფხულო თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 17-ს

დანიშნულია ბენეფისი

**ბ-ნი კ. ყიფიანისა**

წარმოდგენილი იქნება პირველად

**სიყვარული ახალგაზდა ქალისა**

დრამა 3-ს მოქმ. პ. მ. პოლოუბანსკისა.

მესამე მოქმედება

**მეფე ლირი-სა.**

წამების ოთახი დრამიდამ

**სამშობლო.**

ბილეთები ისყიდება სათავად-აზნაურო „სობრანიეში" და არწრუნისეულ თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

— გუშინდელ ამბის დასამატებლად ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს ბათუმიდანვე, რომ ახალ გადმოსახლებულებისათვის როგორც ბათუმის, ისე ყარსის მაზრაში დაურიგებიათ 20—25 დესიატინამდე მიწა.

— ბ-ნი ხიზანაშვილის წერილები, «ძველი ქართული ოჯახი», რომელნიც „დროების" ფელეტონებად იბეჭდება, ცალკე წიგნად გამოიცემა და რამდენადაც შეიძლება, შემცირებულს ფასად გაიყიდება.

— ამბობენ, რომ ზ. ჭიჭინაძეს შეუკრებია ბ-ნი ნ. ნიკოლაძის ნაწერები, ავტორს შეუსწორებია და ცალკე წიგნებად გამოვაო. ვისურვებთ ამ ხმის მალე გამართლებას, მით უფრო, რომ ჩვენის საუკეთესო მწერალთა შრომის ცალკე გამოცემას შეუდგენ და ბ-ნ ნიკოლაძეს-კი მათ შორის ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

— აგრეთვე მზადდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი ბოგვებაშვილის ნაწერები, რომელნიც გაფანტულია „დროება"-«ივერიაში».

— სიღნაღის მაზრიდამ გვწერენ: «ძლივს არ გველირსა 1884 წლის ანდერძის

## რედაქციისაგან

ჩვენის ძველის ხელის-მომწერლებისაგან ყოველ დღე მოგვდის საყვედური, რატომ ახალი წლიდამ გაზეთს აღარ გვიგზავნითო. ამ საყვედურის ასაცილებლად უნდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნით, ვიდრე გაზეთის მიღების სურვილს არ გამოგვიცხადებენ. ამას იმიტომ ვხადით საჭიროდ, რომ არავინ იფიქროს, ვითომც გაზეთის დაბარებას ძალად ვაკისრებინებდეთ ვისმე.

«დროების» ფელეტონი, იანვ. 11-ს

## მგზავრის შენიშვნები

### ბოჭორმა და ერწო

I

ოქტომბრის თხუთმეტი იყო; ტყეში ფოთოლი ძალზედ სცვიოდა ხეებს; ფრინველებს აღარ გაჰქონდათ მხიარულად ჟღრიამული, ტყე გარემოცული იყო ნისლით და გარეშემო სიჩუმე სუფევდა, თითქო ბუნება რაღაცას გლოვობდა და სიმწუხარისაგან ძილს მისცემოდა. ყოველისფერს ზამთრის პირი ეტყობოდა.

ესეთი სურათი გვედგა თვალ-წინ მთელი ერთი დღე მე და ჩემს თანამოგზაურს ჭ—ს. საღამოთი, ექვსი ვერსის მანძილზედ ერთ მაღალ მთაზედ, ჩვენ დავინახეთ დიდებული ბოჭორმის ციხე, ეს უძველესი მოწამე საქართველოს დიდებისა, წოდებული წინად დედა-ციხედ, შემდგომ წოდებული ვეჭ-ორ-მა-დ და ბოლოს, დროთა ვითარების გამო, გადაკეთებული ბოჭორმად. მგზავრს აკვირვებს ამ ციხის ბუნებითი სიმაგრე და განსაკუთრებით ქვითკირის გალავნის გავლება ისეთ მაღალ, მიუვალ და მიუდგომელ ალაგას, როგორიც არის ბოჭორმა. საკვირველ და გასაოცარ სანახავს წარმოადგენს ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს ალმართული ბურჯი თავის ოთახებით და მიხვეულ-მოხვეული კიბეებით; (იგი თითქოს გაამპარტავნებული მედიდურად დაჰყურებს თავის არე-მარეს. მე განზრახვა არა მაქვს ბოჭორმის ციხე აგწერო, რადგანაც ბევრ მკითხველს ნახული და გაგონილი ექნება მისი ვინაობა, ამიტომ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ბოჭორმის ეკლესიაზე მივაქცევ. ციხის გალავნის შუა ალაგას სდგას კარგა მოზრდილი ეკლესია აგებული თლილი ქვით. შიგნიდგან ეკლესია, თავიდამ ბოლომდის შემკული და დახატული ყოფილა, მაგრამ ეხლა წვიმისაგან და დროთა ვითარების გამო მხატვრობა აღარ ეტყობა. როგორც ბოჭორმელმა გლეხებმა მიამბეს, ეკლესიის შესავალში, ერთ ქვაზე წარწერა ყოფილა ეკლესიის და ციხის შესახებ, მაგრამ ამ რამდენიმე ათი წლის წინად, ვიღაც ე—თავთაგანს ბარბაროსული განზრახვით ეს ქვა ჩამოუღია და ლუკმა-ლუკმა უქცევია.

შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს ჩვენი მამა-პაპათ სალოცავი სულ ერთიანად საძირკვლამდის დაინგრევა ჩვენი უთაურობით და დაუდევნელობით. ეკლესია უდროვოდ დაქცევას გადაურჩება და კიდევ რამდენიმე თაობას გიიცვლის, თუ დროით თავსახური გამოეცვლება. თავ-სახური ადვილად გაუკეთდება, მხოლოდ საჭიროა არის წინამძღოლი — მოთავე. საქმე ის არის, რომ ბოჭორმის ეკლესიამ ორი ხატობა (დღეობა) იცის: ერთი გაზაფხულზედ, მეორე შემოდგომაზედ; ორივეჯერ ისეთი სიმრავლე არის ხოლმე ხალხისა, რომ საშუალო რიცხვით კაცის თავზედ შაური გადაიდვას ეკლესიის სასარგებლოდ, ორი წლის განმავლობაში ეკლესიის თავსახურისათვის საჭირო ფული ადვილად მოგროვდება. მაგრამ ნუ დაივიწყებთ უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვებს: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი". ჩვენ, ქართველები, ყოველ კეთილ-შობილურ სიტყვებს და გრძნობებს სიხარულით მივეგებებით ხოლმე, მაგრამ სიტყვის განხორციელებისა და სიტყვის საქმედ გადაქცევისათვის სრულებით არა ვზრუნავთ — ჩვეულებისამებრ დავიწყებას მივცემთ ხოლმე.

ჩვენ დავტოვეთ ბოჭორმის ციხე და გავუდექით ერწოს გზას. ცოტა რომ გამოვცდით ბოჭორმას, დავინახეთ რამდენიმე მიწური სახლები აქა-იქ იმრგვლივ გაფანტულნი. ვინა სცხოვრობენ აქა-თქო, ვკითხე ჩემს თანამოგზაურს. ფშავლებიო, მიპასუხა მან. როდესაც ამ საუბარში ვიყავით, ჩვენ შემოგვეყარა სამი გლეხი დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანსაცმელში გახვეული.

— სადაურები ხართ, ძმებო?

— აქაურები (ბოჭორმელები), მიპასუხეს.

— ვისია ეს არე-მარე, ეს ალაგი სადაც თქვენა ჰსახლობთ?

— წინად ერისთავისა იყო და ეხლა სხვამ შეისყიდა.

— სულ რამდენნი კომლნი სდგეხართ ამ ალაგში?

— თხუთმეტი, შენი კვნესამე.

— რას აძლევთ თქვენს «ბატონს» გარდასახადს?

— ჩვენ თხუთმეტი კომლნი გახლავართ, რომელნიც ერთის „ბატონის" ალაგზედ ვდგევართ. ვაძლევთ წელიწადში ორმოც თუმანს ფულს, ორმოც მარხილ თივას, ოც-და-ათ ლიტრა ერბოს და კიდევ სხვა წვრილმან გადასახადებს...

II

კარგა დაბინდებული იყო, როდესაც ჩვენ ერწოს მივატანეთ. იქნება ზოგიერთს მკითხველს ერწო სოფლის სახელი ეგონოს?! ვინც ესე ჰფიქრობს, შემცდარია. ერწო არის ერთი მხარე-

აგება. სწორედ დამძლა იყო ეს გასული წელი განსაკუთრებით ჩვენის მაზრისათვის. ხალხი იყო და ყვავილ-ბატონებმა გაანადგურა, საქონელი—სხვა-და-სხვა ჭირმა, მოსავალი—ზაფხულის გოლვამ..

ღვთით, ამ უკანასკნელ ხანებში ყვავილი შესუსტდა; მხოლოდ წინამხარეში ჯერ კიდევ არის ალაგ-ალაგ.

სიღნაღში ვაშლი, მსხალი და სხვა ნედლი ხილი ბევრი შემოდის ზაქათალის მაზრიდამ.

ხშირად გზაზე ხილი ძლიერ ფუჭდება, მაგრამ პატრონი გაფუჭებას ყურადღებას არ აქცევს და მაინც კიდე შემოაქვს სიღნაღში, რადგან იმედი აქვს მისი გასაღებისა...

ვერაფერმა უშველა სიღნაღის ორი კლუბის ერთად მოთავსებას. ბევრი თავის მტვრევა იყო, ბევრი ,,პოვერნიების'' გზავნა ერთმანეთს შორის, მაგრამ ვერ ეღირსა სიღნაღს ერთი კლუბი. რამდენს ვნებას აძლევს საქმეს ეს მოურიგებლობა და რამდენად საკეთილ-დღეო იქმნებოდა, რომ ორი პატარა წრე ერთად მოთავსებულიყო! ეხლა-კი ორთავ განცალკავებულთ ისეთი პირი უჩანთ, რომ არც ერთს მათგანს და უფრო სამოქალაქოს, დღეგრძელობას არ უქადის ეს 1885 წელი.»

— «იურიდიულს მიმოხილვაში» არის დაბეჭდილი ადრესი, რომელიც ბათუმის მცხოვრებელთ მიურთმევიათ თავიანთ მომრიგებელ-მოსამართლის ბატონ ბონდერიოვისათვის ახალ-წელიწადს დღეს. ამ წერილზე ხელი აქვს მოწერილი ქ. ბათუმის დეპუტატს ქაზიმ-ბეგ-აბაზოვს და დეპუტატს გიორგი მავრიძეს. ადრესში ხსენებულს მომრიგებელ-მოსამართლეს ბათუმის მცხოვრებნი მადლობას უცხადებენ კარგის კაცობისთვის, რიგიანად და სამართლიანად საქმეთა-წარმოებისთვის და სხვ. ამ ადრესზედ მრავალს პირსა აქვს მოწერილი ხელი. მაგრამ, ჩვენდა გასაოცებლად, სიაში ადგილობრივთა მკვიდრთა სახელი ხუთი-ექვსი თუ იპოვება. მათ ადგილი უჭირია სხვა-და-სხვა გვარად აჭრელებულს....

— გაზ. ,,კავკაზს'' გაუგონია, რომ უმაღლეს მთავრობას თბილისში მესამე გიმნაზიისა, თუნდ პროგიმნაზიის გახსნაზედ უარი უთქვამს.

— ქსეკე გაზეთი ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში თბილისში დაარსდა შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოება, რომელშიაც განსაკუთრებით მონაწილეობას მიიღებენ ყველანი, ვინც საქალაქო სამართველოში მსახურობენ.

— ამ თვის გასულს ვერის ხიდი დასრულდება და ხალხს ნება მიეცემა ზედ სიარულისა. („კავკაზი“).

— ,,ნოვ. ობოზ.'' აცნობებენ მცხეთიდამ, რომ ამ თვის 7-ს ღამით მცხეთის ზემოდ ქვევის გზაზე მოუკლავთ ორი კიდაც გლეხი, რომელნიც, როგორც ეტყობა ქართლელები უნდა იყვნენ. საზოგადოდ ყოველ ზამთრობით მთელი გზა მცხეთიდამ მოყოლებული თეთრ-დუქნამდის ავაზაკების ბუდედ ითვლებაო, დღით განცხრომაში არიან დუქანში და ღამ-ღამობით გამოდიან ,,საშოვარზედ''. ჯერჯერობით, ამ ზამთარს რამოდენიმე ცარცვა გლეჯა მომხდარა განსაკუთრებით ეგრედ-წოდებულს ,,საზურთალოში'' და ,,მუხათგვერდში''.

## რუსეთი

სახელმწიფო რჩევის გადაწყვეტილებით 75,000 მან. კრედიტი გაეხსნა საარტილერიო უწყებას გერმანიის ქარხნებიდამ ,,შოკოლადის'' წამლის შესაძენად. ეს თოფის წამალი, რომელსაც ,,შოკოლადისა'' იმიტომ უწოდეს, რომ ძალიან წააგავს შოკოლადს, ამ მოკლეს ხანებში გამოიგონეს გერმანიაში და შეადგენს გამომგონის საიდუმლოებას. შოკოლადის თოფის წამალი მეტად სასარგებლოდ უცვნიათ განსაკუთრებით საციხოვნო არტილერიისათვის და როგორც გერმანიაში, სადაც დაიბადა ეს წამალი, აგრეთვე ავსტრიაში, საფრანგეთში და ინგლისში შემოუღიათ სახმარებლად.

—

ამ ახალის წლიდამ სამხედრო-მედიცინის აკადემიის სტუდენტებს, რომელთაც ხაზინისაგან სტიპენდია ეძლევათ, 25 მან. მაგივრად 30 მან. დაენიშნათ თვეში.

—

ამ ჟამად რუსეთში არა ერთი და ორი კომისიაა დაფუძნებული სხვა-და-სხვა კითხვათა და საგნების გასარჩევად. ერთი ამგვარი კომისიათაგანი, გრ. პალენის კომისია იძიებს სხვათა შორის, თუ რა გავლენა აქვთ საზოგადოებაზე ებრაელ მწერალთა და პუბლიცისტებს, რომელთაც ხელთ უპყრიათ რედაქტორობა და გამომცემლობა დრო-გამოშვებით გამოცემათა.

—

მდგომარე წლის მომავალს ივნისში, უმაღლესის ნებართვით, ვარშავაში მოხდება სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. გამოფენაზე იქმნება შემდეგი ცამეტი განყოფილება: ა) სამთო-ქარხნის მრეწველობა; ბ) სხვა-და-სხვა იარაღები და საქარხნო მოწყობილობანი; გ) ხელსაქმე, საშინაო მრეწველობა და სახელოსნო ნაწარმოებნი: დ) საქარხნო-საფეიქრო წარმოება ე) ქარხნის წარმოების ქიმიური საგნები. ვ) საკვებავი სურსათნი; ზ) ტყის წარმოება; ჱ) საშენებელი საქმე და მასალანი; თ) ბაღოსნობა, მებოსტნეობა, აბრეშუმის წარმოება; ი) გეგმანი და პროექტები სოფლის მეურნეობის განწყობისა და სამეურნეო მრეწველობა; ია) გლეხთა საშინაო მრეწველობა; იბ) წვრილ-ფეხი და ფეხ-მსხვილი საქონელი; და იგ) სახელმძღვანელონი ყოველ-გვარის ცოდნისა და წარმოებისა.

რუსეთის საზოგადოება სიამოვნებით ეგებება ამ მომავალს გამოფენას და იმედობს, რომ ეს გამოფენა მცირედ მაინც წინ წასწევს მეურნეობისა და მრეწველობის საქმეს რუსეთში რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მეტად შეფერხებულია.

## წერილი რედაქტორისადმი.

მოგეხსენებათ, რომ ამას წინად შესდგა მედიატორების სამართალი, რომელსაც უნდა გაერჩია პოლემიკა „ხობათის“ რედაქტორის და ჩვენს შორის და თავის გარდაწყვეტილობა საქვეყნოდ გამოეცხადებინა. მაგ-

---

თაგანი თიონეთის მაზრისა, რომელიც შეიცავს შემდეგს სოფლებს: ნაქალაქარს, მაგრანეთს, ატნის-ხევს, ნადოკრალს, ბორანას, სვიმონიანთ-ხევს, თოლინჯს, მელეს-ხევს, ხევსურთ სოფელს, დევანაანთ-ხევს, საუდრიონს, დორეულებს, ორხევს და სხვა წვრილმან სოფლებს. ერწო წარმოადგენს ერთს დაცემულს ველს, ოთხივ კუთხით შემოზღუდულს მთებით. ზაფხულში სწორედ კარგი სანახავი უნდა იყოს, როდესაც ეს ვრცელი დაცემული ველი მწვანე ხავერდის მზგავს ბალახით შეიმოსება. ერწოში, როგორც მთა ალაგში, ზამთარში დიდი სიცივეები იცის, რის გამოც აქ ვაზი და ხეხილი სრულებით არა გვარობს. მხოლოდ ზოგი-ერთ ალაგს ალუბლის ხეები ვნახე და თურმე ისიც-კი რიგიანად არა მწიფდება.

მოგზაურობის დროს თქვენდა უნებურად გიზიდვენ მრავალი ეკლესიის და სიმაგრეების ნანგრევები. ესეთი სიმრავლე ნანგრევებისა მარტო მაშინდელი რელიგიური მიმართულებით არ აიხსნება, ეს ნანგრევები უფრო ხალხის სიმრავლეს ამტკიცებს ძველად საქართველოში. მგონი ჩვენ არა ვცდებით და თვით ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით: «ერწო ოდესმე ყოფილა მრავალ-შენობიან-დაბებიანი».

სოფელს ნაქალაქარში მე გამაკვირვა ერთმა ძველმა ნახევრობამდის დაქცეულმა ეკლესიამ, რომლის კედლები აშენებულია მშვენიერი თლილი ქვით. სიგძე ქვებისა იყო ორი არშინი—ორ არშინ ნახევარი და ერთი ქვა გამოვიდა სრული ერთი საჟენი სიგრძე.

მომეტებული ნაწილი ერწოელებისა ფშაველები არიან, მხოლოდ უმცირესი ნაწილი ხევსურები; რიცხვით პირველნიც და მეორენიც ათას კომლზედ მომეტებულნი იქნებიან.

ერწოელები ხვნა-თესვას მისდევენ და უფრო ოთხ-ფეხი საქონლის ყოლას. კარგი თვისება ის ჰქონია აქაურ ადგილს, რომ პურის მოსავალი ძლიერ იშვიათად მოსცდება. მაშინ როდესაც სხვა საქართველოს კუთხეებში დიდი სიმშილობა ყოფილა, პური საკმარი ჰქონიათ აქაურებს. საქონლის გამრავლებისა და პურის უხვი მოსავლის გამო, ერწოელები თავიანთთვის კარგად არიან. მე ამითი იმის თქმა არ მინდა, რომ აქ ღარიბნი და საცოდავნი სრულებით არ მოიპოვებოდნენ, არა, სიღარიბე და სიმდიდრის უთანასწორება აქაც არის, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ აქ ისე საგრძნობელი არ არის, როგორც კახეთში და გარე-კახეთში. ჩვენდა სასიხარულოდ ზოგ-ზოგი ისეთი გლეხის ოჯახები მოიპოვებიან, რომელთაც ათასი—ორი ათასი თუმნის შეძლება აქვთ (მაგალითებრ: ზურაბიანი; აქიმიანი, ნადირაშვილები და სხვანი). ამ შეძლებას ზოგი-ერთისთვის ნება მიუცია შეესყიდათ თავადებისაგან ტყეები, სახნავ-სათესი და საძოვარი ალაგები; ისე რომ ოდესმე ყმანი ეხლა ბატონებად გადაქცეულან. ერწოელები, როგორცა ვთქვი, თუმცა მატერიალურის მხრით არ არიან ცუდ მდგომარეობაში, მაგრამ თავიანთ დაბალ მიწურ სახლებში, როგორც საზოგადოდ ყველა ფშაველები, ძლიერ ბინძურად და უსუფთაოდ ცხოვრობენ. ჩემს კითხვაზე: რადა სცხოვრობენ ესე უსუფთაოდ, მიპასუხეს: ,,ჩვენს მამა-პაპებს ესე უცხოვრიათ და ჩვენც ესე ვცხოვრობთო.''

ერთი კარგი მხარე, რომელიც შევნიშნე, არ შემიძლიან არ მოვიხსენიო: ერწოელები ძლიერ მტკიცე ხასიათისანი არიან, უყვართ სიმართლე და სდევნიან უსამართლოებას; მტრობას, გაუტანლობას, უპირობას, ფარისევლობას და სიცრუეს ფეხი ვერ მოუკიდნია ამ ბედნიერ კუნჭულში.

რაკი კარგი მხარე მოვიხსენიე, საჭიროდ ვრაცხ ცუდ მხარესაც გვერდი არ ავუქციო. მე ვამბობ მიცვალებულის დამარხვაზედ ერწოში, ამ ძველ გამაღარიბებელ ჩვეულების გამო შეძლებული ოჯახის შვილის დამარხვაზე სამოცზედ (60) ნაკლები ცხვარი და ძროხა არ დაიკვლის. დამარხვას მოჰყვება წირვები, ანუ როგორც აქაურები ეძახიან რიგები შვიდეულისა, ორმოცისა, ხალოჯობა და სხვ., ერთი სიტყვით, საშუალო რიცხვით რომ ავიღოთ, ფშაველს მკვდრის დამარხვა ოც-და-ათი თუმანი უჯდება. რომელიმე რიგის დაკლება ფშაველს დიდ ცოდვად მიაჩნია და ამიტომ, რაც უნდა ღარიბი იყოს, უეჭველად ყველა რიგებს გადაუხდის თავის გარდაცვალებულს.

მოყვანილობით ერწოელნი არიან ზორბა ტანისანი, ღონიერნი, მამაცნი, მორჩილნი და სინიდისიანნი. ქალებს მიმზიდველი სახე აქვთ და განსაკუთრებულ თვისებად მიაჩნიათ შრომის სიყვარული და ქმრისა და ოჯახის ერთგულება.

ალ. გულისაშვილი.

იანვრის 7-ს.

რამ მას დღემდის არ გაურჩევია საქმე. რად? მხოლოდ იმიტომ, რომ ბატ. ლულაძესაგან ამორჩეული მედიატორე ბატ. გიორგი წერეთელი სცხოვრებს ქუთაისის გუბერნიაში და თბილისში ჩამოსვლისათვის ვერ მოუცლია. ორმა დანარჩენმა მედიატორემ დიდი ხანია საქმე გაიცნო, მზად არის შეუდგეს მის გარჩევას და გადაწყვეტილობის დადგენას; მაგრამ მესამე მედიატორის ჩამოუსვლელობა აბრკოლებს საქმესა. თუ ბატ. ლულაძეს უნდა ამ საქმის დაბოლოება, მან უნდა ან სთხოვოს თავის მედიატორეს, დროზედ ჩამოვიდეს, და ან სხვა, თბილისში მცხოვრები, პირი ამოირჩიოს.

იაკობ გოგებაშვილი.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

იანვრის 9-ს

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნენ ის წესნი, რა წესითაც შესაძლებელია საკუთრად შეიძინოს კაცმა, ან დაიგირაოს და ან იჯარით აიღოს ის მიწები 9 დასავლეთის გუბერნიებში, რომელნიც ქალაქებისა და დაბებს გარეშე მდებარეობენ. უმაღლესი ბძანება სენატისადმი ამ წესების გამოცემას ხსნის წარსულ მეფობის წესდებულებათა ასრულების საჭიროებით, დასავლეთის მხარეში რუსეთის მემამულეთა გაძლიერებისა და იმ დაბრკოლებათა აცილების საჭიროებით, რომელნიც უშლიან, როგორც განვითარებას, ისე რუსეთის მიწად მთვლობელობის მტკიცედ დამყარებას ამ მხარეში. ახალის წესების ძალით აღიკრძალება დაგირავება მამულისა იმ პირთათვის, რომელთაც აღკრძალული აქვთ მამულების შეძენა და გირავნობის ქაღალდები ამ პირების სახელობით ძალას იქონიებენ მხოლოდ 10 წლის განმავლობაში ამ წესების გამოქვეყნების შემდეგ; ამ პირთა შესახებ არ გავრცელდება პირველი 3 მუხლი წესებისა მემამულეთა მიწების იჯარით გაცემაზე, თანხმად მე-X ტ. ნ. I, სტ. 1691, შენიშვ. 2, დამატ. გაგრძ. 1876 წ. აღიკრძალება აგრეთვე ამ პირთადმი მიწების იჯარით გაცემის კანტრაკტებში ჩართვა ერთხელვე ქირისათვის დაწესებულის ვადის გაგრძელებაზე, ანუ სხვა-და-სხვა პირობანი ამ აზრით შეკრულნი; აქციონერულ საზოგადოებათ ამის შემდეგ შეუძლიანთ მხოლოდ 200 დესიატინამდე მამული შეიძინონ; იმ შემთხვევაში, თუ მოხსენებულ პირთაგან რომელმამე მოიჯარადრემ მოისურვა ქარხნის ან ფაბრიკის გამართვა, შეიძლება შეიკრას ან გაგრძელდეს კანტრაკტი 30 წლამდე. ის პირ-შეკრულები, რომელნიც დაარღვევენ უმაღლეს ბრძანებათა 1864 წ. ივლისის 10 ისას და 1865 წ. დეკემბრის 10 და ამ წესებს—არ შეიწყნარებიან. ის პირნი, რომელთაც ისარგებლეს შეღავათით, რომელსაც წარმოადგენს 1864 წ. მარტის 5 დებულება და რომელთაც შეჰკრეს პირობანი, ამ დებულებისა და წესების დამრღვეველნი, ვალდებულნი არიან ერთის წლის განმავლობაში მოურიგდენ მეორე მხარეს მიწების შესახებ პირ-შეკრულებათა მოსპობაზედ, წინააღმდეგს შემთხვევაში მამული და ქონება სამზრუნველო სამმართველოს გადაეცემა იმ დრომდე, ვიდრე ორთავე მხარე ანგარიშს გაასწორებს; მამულები, შეძენილნი ივლისის 23, 1865 წლის ინსტრუქციის წესთა თანხმად და გაყიდულნი, ან დაგირავებულნი, ან იჯარით გაცემულნი ან მოსავლელად მიცემულნი, ამ ინსტრუქციისა და ამ წესთა წინააღმდეგ იმ პირთათვის, რომელთაც აღკრძალული აქვთ მიწების შეძენა დასავლეთის გუბერნიებში, შეირიცხებიან სახაზინოდ.

გზათა მინისტრის ამხანაგი ფონ-გიუბენეტი დათხოვნილ იქმნა სამსახურისაგან და დაინიშნა სენატორად.

გუშინდელმა საზოგადო კრებამ საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისამ გადასწყვიტა: ის მამულები, რომელნიც დარჩა საზოგადოებას, გასყიდულ იქმნან, რა ფასადაც გაიყიდებიან, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ვაჭრობით მათი გასყიდვა ვერ მოხერხდება და ზარალი გადახდეს დამფასებელთ, მამულების გასყიდვისა და ზარალის გამორკვევასთანავე; ვიდრე შეივსებოდეს ეს ზარალი დამნაშავეთა მიერ, დროებით დაიფაროს იგი მოგებითა და სათადარიგო ძირის ფულით, ხოლო რაც დააკლდეს კიდევ სათადარიგო თანხიდამ შეივსოს. ამასთან ის ნაწილი, რომელიც შეხვდება თავნს ვალს, შეივსოს უვადოდ ობლიგაციებით; დათხოვნილ იქმნან წევრნი მმართველობისა, დამფასებელთ კომისიისა არხიტეკტორებითურთ; ეთხოვოს პროკურორს სისხლის სამართალში მისცეს ის პირნი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ დაფასებაში და სესხის გაცემის დამტკიცებაში იმ მამულთათვის, რომელნიც დარჩნენ საზოგადოებას. თითქმის მმართველობის უველა წევრთ და აგრეთვე დამფასებელ კომისიის რამდენმამე წევრმა და არხიტეკტორებმა დათხოვნის ქაღალდი შეიტანეს ამ გადაწყვეტილების დადგენამდე. კრებამ გაცხარებულის ტაშის ცვრით მიიღო ეს გადაწყვეტილება.

იანვრის 10-ს.

**პეტერბურგი.** გაზეთის „სვეტოჩი“ აღკრძალულია სრულის მავნე მიმართულების გამო.

ბარლა მირონოვიჩისა და ბეზაკისაგან სენატში შეტანილ კასაციურ საჩივრებისა, სენატშივე შეტანილ იქმნა პროტესტი პროკურორის ამხანაგის დინოვსკისა, სემიონოვის ქალის გამართლების თაობაზედ.

„ნოვოე ვრემია“ გვატყობინებს, რომ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის თავს-მჯდომარეობით შედგენილია ცალკე კომისია, რომელმაც უნდა ქალების განათლების საქმე განიხილოს.

**ლონდონი.** როდესაც სტიუარტის რაზმი, 1200 კაცისაგან შემდგარი, უდაბნოში მიმოვალობდა, მას იანვრის 17 თავს დაესხა 10,000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ცრუ-წინასწარმეტყველისა. ინგლისელებმა ოთხ-კუთხი (კარე) შეადგინეს, მაგრამ მტრის მხედრობამ ეს ოთხ-კუთხი რამდენსამე ალაგას გაარღვია. ინგლისელების ჯარი მაინც არ დაიბნა და ერთად შეჯგუფულმა ისეთი სროლა აუტეხა მტერს, რომ უკუ-აქცია და 800 კაცი მოუკლა, ინგლისელებს დაეხოცათ და დაეჭრათ 18 აფიცერი და 150 ჯარის კაცი. სტიუარტს ცხენი მოუკლეს. მოკლულთა შორის არის პოლკ. ჰორნსბი და ლორდი სენტ-ვინცენტი.

**მელბურნი.** ბრიტანიის დროშა მოშალეს ლუიზიადის, ლარკის, ბუინის, და ანტრეკასტოს კუნძულებზე.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი უკედ არის.

**რომი.** იტალიის სხვა-და-სხვა ადგილებში მთები ჩამოწვა და ბევრი ხალხი დაიღუპა.

**ვალპარაიზო.** ჩილის პრეზიდენტის მოკვლა განიზრახეს ჯოჯოხეთურის მაშინით, მაგრამ ეს განზრახვა არ აღსრულდა.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—ხირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სქესუღზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრამიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი ზური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი ზური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ⁊ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამგზავროებით და პარსკეკოებით საჩქა-
რო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

საქართველო-იმერეთის უწმინდესის და უმართებულესის კანტორის თანადასწრებით მომავალის 1885 წლის იანვრის 21 დანიშნულია ვაჭრობა, რომელიც სამის დღის უკან განმეორდება და რომელზედაც უნდა იქმნეს გაცემული იჯარით სამი საძოვარი ადგილი იოანნე ნათლის მცემლის მონასტრისა ყარაიაზე. ეს საძოვრები სივრცით 3475 დეს. 1100 საჟ. შეიცვენ, და გაიცემიან ერთად ანუ ცალ-ცალკე, როგორც მოიჯარადრენი მოისურვებენ. ვისაც ჰსურს აიღოს ეს ადგილები იჯარით, შეუძლიან მობძანდეს კანტორაში, ანუ გამოგზავნოს დანიშნულს დროზე დილის 10 საათზე დაბეჭდილი განცხადება ჯეროვანი გირაოთი, რომელიც შეიძლება იყვეს ან ნაღდი ფული ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთები, თავიანთის წოდებითის ქაღალდითურთ. პირობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 1 საათამდის ნაშუადღევისა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა.

წევრი სინოდალური კანტორისა არხიმანდრიტი მაკარი.
(3—3) სეკრეტარი ჩიტაძე.

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვკიკი, საწყაო, სვეხი, რიუმკები, გრაფინკები, საქაშურითეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ჯაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, შიყები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საზნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალოკეტებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, გამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—74)

გამოვიდა და ისყიდება

## ელისო

მოთხრობა ჩვენელთ ცხოვრებიდგან
თხზულება
ა. მ. მოჩხუბარიძისა.
ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილუ... ძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:
ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა.
არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—11)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | მოსკოვის ჩაის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მ. 10 კ. | | | 1 მ. 40 კ. |
| — | — | 1—20 | — | — | 1—60 |
| — | — | 1--40 | — | — | 1—80 |
| — | — | 1--60 | — | — | 2—,, |
| — | — | 1—80 | — | 2 | —50 |
| საუკეთესო | | 2—,, | — | 3 | —,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალეხები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკაწინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—59)

გამოვიდა და ისყიდება

## ბედია

თხზულება აკაკისა.

თბილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვთან.

ქუთაისს—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. იქვე ისყიდება სხვა თხზულებებიც აკაკისა. (5—5)

## ვექილი

ვიცავ ყოველგვარს სისხლის სამართლის საქმეებს. უსასყიდლოდ ვვექილობ და რჩევას ვაძლევ ღარიბთა. ვცხოვრებ ვაგზალთან, „ზოლოტოი იაკორის“ სასტუმროში, ი. ა. ქაცცი. (8—8)

ვაძლევ გაკვეთილებს ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. ადრესი: „დროების“ რედაქციაში. (5—2)

ახლად გახსნილი საწყობი
პურის სპირტის
და
დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამოკავლობითი საპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის პორაქოვისა და დავით ადამის ძის სარაჯოვისა ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ალელოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კოფეინისა, ლაკისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა ისყიდება თვით დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭლეია ერთ-ვედროიანის, $^1/_2$ ვედროიანი, $^1/_{10}$, $^1/_{16}$, $^1/_{20}$, და $^1/_{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $^1/_2$, და $^1/_4$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს—გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—9)

საკლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—29)

ВЪ ГОР. БАКУ
## ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ
## „КАСПІЙ“
На 1885 годъ.
ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.
„КАСПІЙ“ ВЫХОДИТЪ ЕЖЕДНЕВНО КРОМѢ ДНЕЙ ПОСЛѢ ПРАЗДНИЧНЫХЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой въ другіе города: на годъ 8 руб. 50 коп.; на полгода 5 руб.; на три мѣсяца 3 руб.; на 1 мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Иногородные обращаются: **Въ редакцію газ. „Каспій“, въ Баку.**

Редакція, по прежнему, будетъ стараться знакомить своихъ подписчиковъ со всѣми новостями мѣстнаго нефтянаго дѣла, а также давать точныя свѣдѣнія о добычѣ нефти на промыслахъ и о вывозѣ ея продуктовъ моремъ и по желѣзной дорогѣ. (3—3)

*Доз. ценз. Тифлисъ, 10 Января 1885 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი